# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 272 კვირა, 6 დეკემბერი 1909 წ. № 272



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღ. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


„დროების" დღევანდელ ნომერთან ერთად ირიგდება ორი განცხადება: ერთი „ალიონის" ამხანაგობისა, მეორე—სამეურნეო ჟურნალის „მოსავლისა" პირველი განცხადება დარიგდება ყველგან, მეორე იმ ნომრებთან, რომელიც ტფილისის გარედ გაიგზავნება.

---

ძმები ისიდორე მეუღლით ნიმფადორათი, სილოვან და ევგენი კვიცარიძეები და, და მაშო ასათიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას მამის დეკანოზის

## გრიგოლ სიმონის ძის კვიცარიძისას.

პანაშვიდი ყოველდღე; დაკრძალვა სამშობლო სოფელს ოფიჩხეთში (ქუთა-დან 11 ვერსზე) სამშაბათს 8 დეკემბ., ნაშუადღევის 4 საათ. (2—კვ.—1)

---

წარმოდგენა № 21. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 21.

აბონიმენტი მე-9.

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ს. გლახაშვილისა.

## წყურვილი

დრამა 4 მოქმედებად.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან" ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

საიუბილეო წარმოდგენა

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, 1909 წელს.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე ქ-ნ ნ. მ. **გაბუნია-ცაგარლისა** და **ე. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით გამართავს **საიუბილეო** წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

## ხანუმა

კომ. 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

**წარმოდგენაში მონაწ.** მიიღებს წრესთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 19 დეკემბერს.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **გახვახიშვილი.**

---

## ქართული ოპერა

კვირას, 13 დეკემბერს, 1909 წ. თავად-აზნაურთა თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება

## „სევილიელი დალაქი"

ოპერა 3 მოქმ. 4 სურათად, მუს. როსსინისა თარგ. გ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კალანდაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, აგასოვი, ცხოველიძე, კარაკიშევი, კარგარეთელი.

ოპერას ლოტბარობს **პოლ. პეტრეს-ძე ფალიაშვილი.**

რეჟისსორობს დამსახურებული არტისტი **იოსებ ივანეს ძე რატილი.**

მესამე მოქმედებაში გაკვეთილის დროს ქ-ნი კალანდაძისა შეასრულებს ცნობილ ვილსს „ვენცანოსას", თარგ. ი. კარგარეთლისა.

სუფლიორი **მ. მოლოდინი.**

**ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.** (6—2)

---

**საიუბილეო** ## ავლაბრის თეატრი **წარმოდგენა**

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**კვირას, 6 დეკემბერს, 1909 წ.**

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

ქართველთა და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებულ დასების მიერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულად **ორი ობოლი** მე-5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.

2. სომხურად **დაქცეული ოჯახი** მე-2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

3. ქართულად **ხანუმა** 1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.

4. საკონცერტო **განყოფილება**

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენსამე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაეცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრის დირექციას ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე და დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ი. იმედაშვილ-ხაშმელს.

რეჟისორი **ს. სვიმონიძე.** გამგე **თ. ნასიძე.**

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. ხ. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—223)

---

# პირველად

# უდიდესი საშობაო ვაჭრობა

## იხილე მეოთხე გვერდი

---

კვირას, 6 დეკემბერს,

## გაიხსნება

## „იუქანეს" ამხანაგობის საზამთრო ბაღი

**სახაზინოს ქუჩაზე, თავად-აზნაურთა შენობაში.**

სადილები: ორი თავი, ერთი ქიქა ღვინო ან ლუდი—60 კაპ.
სამი თავი, ერთი ქიქა ღვინო ან ლუდი—80 კაპ.
ოთხი თავი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ადგილობრივი ლუდი—1 მან.

ბაღს აქვს მშვენივრად მოწყობილ საოჯახო კაბინეთები, **ბილიარდი.**

**იტალიური სიმებიანი ორკესტრი, დეფრაიას** ხელმძღვანელობით, დაუკრავს 1 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 9-დან ნაშუალამევის 2საათამდე.

**— ვამზადებთ შეკვეთით —**

სადილებსა, ვახშმებსა, ქორწილებსა და სხვ. სამზარეულოს გამგეობა ჩაბარებული აქვს ცნობილ კულინარს ბ-ნ რომანს. (2—566—2)

---

## გაფრთხილება

საკალგასო მაღაზია

## კორბოზი

პუშკინის ქ. ამით აფრთხილებს პატივცემულ მუშტარს, რომ ამ მაღაზიას ქალაქში **განყოფილებები** არა აქვს. დღესასწაულებისთვის მიღებულია მარსელიდან: „ანჩოუსი", „ტრესკა" (morio), „როკფორი" (Rocfor). არის აგრეთვე ყოველთვის ყველი „ბრი", „ნევშატელი" და „დელისელი", ვიჩინა რუსული და ადგილობრივი, თითონ მაღაზიის მიერ დამზადებული. (1—ნას.—1)

---

## ისარგებლეთ შემთხვევით!

ლიკვიდაცია

## ა. ტერტეროვის

## ფეხსაცმლების მაღაზიის,

რომელიც სომხის ბაზარშია, № 6, ადელხანოვების მაღაზიის გვერდით. რადგან ვსპობთ ვაჭრობას, 23 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე დანიშნულია საბოლოო ვაჭრობა მაღაზიის ყველა საქონლისა: ქალთა, ვაჟთა და ბავშვთა ფეხსაცმელისა. საფაბრიკო ფასს დააკლდება 25%—50%. ფასები შეუვაჭრებლად. გთხოვთ, პირადად დარწმუნდეთ.

პატივისცემით **ა. ა. ტერტეროვი.**

## ისარგებლეთ შემთხვევით!

(5—ხალ.—1)

---

**ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის**

**განცხადებ-ს მომკრეფი აგენტი**

## მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით: **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.** (3—3)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100 ნ.—56)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ვებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ვებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—124)

---

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—123)

---

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—7)

---

## ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ხალ.—78)

---

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—16)

---

## ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—64)

---

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., საელი ფირალოვისა. (0—33—119)

---

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—313)

---

## ქუთაისი მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.

ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—ნ.—15)

---

## ექიმი ბ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—57)

---

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალექსანდროვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—75)

---

## მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—ღ—12)

---

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**




ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება

## ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მაღაქიაშვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქაიშვილი, ფონ-ტეფი, ქურიშვილი, შხაპკოლა** და სხვ ნი.

ჟურნალი წლიურად ღირს 5 მ. თვიურად 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი. Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Волкваадзе. (10—ნ.—3)

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივი ენა სასამართლოში.**

4 დეკემბრის სხდომა ცოტად თუ ბევრად საინტერესო იყო. ამ სხდომაზე შეეხნენ ახალ საკითხს—უნდა იხმარებოდეს თუ არა, სასამართლოში ადგილობრივი ენა. როგორც ვიცით, წინანდელ სხდომაზე სათათბირომ დაიწყო მეორედ განხილვა სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონ-პროექტისა. 4 დეკემბრის სხდომაზედაც ამ კანონ-პროექტის განხილვა განაგრძეს.

მემარჯვენეებმა წინადადება შეიტანეს—ჩაემატოს კანონ-პროექტს ახალი მუხლი, სახელდობრ ის, რომ სასამართლოში ყველგან რუსული ენა იხმარებოდესო. აი, ამან გამოიწვია ცხარე კამათი.

ანტონოვმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები იმისა, თუ რამდენი არა რუსი სცხოვრობს რუსეთში, აღნიშნა ისიც, რომ ბალტიის მხარეში 1889 წლიდან სასამართლოებში ადგილობრივი ენაა მიღებული და ის აზრი გამოსთქვა, რომ იქ, სადაც არა-რუსნი სცხოვრობენ და სადაც რუსული ენა არ იციან, სასამართლოში საქმის მონაწილეებს და მათ კანონიერ წარმომადგენელთ შეეძლოთ სიტყვიერი განმარტებანი (თუ რუსული არ იციან) ადგილობრივი ენა არ იცის, თარჯიმანი იყოლიოს.

როგორც ჰხედავთ, მცირე რამ არის ეს: სასამართლოში მომჩივან-მოპასუხეებს შეეძლებათ მხოლოდ სიტყვიერი განმარტებანი მისცენ, ისიც მაშინ, თუ რუსული არ იციან. მაგრამ ამ მცირემაც რუსულ სათათბიროში ერთი ალიაქოთი ასტეხა.

უპირველეს ყოვლისა, ამის წინააღმდეგ ამხედრდა მთავრობის წარმომადგენელი, იუსტიციის მინისტრი. მისის აზრით, რუსული ენა უნდა ბატონობდეს მთელ იმპერიაში და ამით უნდა განმტკიცდეს რუსული სახელმწიფოებრიობა, რუსის ეროვნება. მინისტრმა ყოვლად შეუძლებლად სცნო ადგილობრივ ენების შემოღება სასამართლოში.

თუ ანტონოვის წინადადება არ მოეწონათ, რაღას მოეწონებოდათ წინადადება ტრუდოვიკებისა, რომელთაც მოითხოვეს, რომ მთელი საქმის წარმოება სასამართლოებში ადგილობრივ ენაზე იყოს.

ადგილობრივ ენას მხარი დაუჭირეს პოლონელებმა, მაჰმადიანებმა, კადეტებმა, ს.-დემოკრატებმა.

მინისტრის წინააღმდეგ ბევრმა ილაპარაკა — მილიუკოვმა, ჩხეიძემ, ლეჩიცკიმ და სხვებმა. მაგრამ ყველაზე ცხარე სიტყვა როდიჩევმა წარმოსთქვა. ამ სიტყვამ ისე გააბრაზა მემარჯვენენი, რომ ერთი აურ-ზაური და ალიაქოთი ასტეხეს. პავლოვიჩმა ფიცარიც-კი გამოძრო პიუპიტრიდან და დაიწყო ხმალივით ჰაერში ქნევა. მემარჯვენენი განუწყვეტლივ ეძახდნენ როდიჩევს — „გაეთრიე გარეთაო".

იმდენი იყვირეს, რომ ორატორმა სიტყვა ვეღარ დაასრულა და ბოლოს საქმე მუშტი-კრივით გათავდა. როდესაც თავმჯდომარემ სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტა, დეპუტატებმა დარბაზის შუა გულში მოიყარეს თავი. აჯემოვი მემარჯვენებისაკენ გაემართა, მაგრამ უცბად გამოხტა ტიმოშკინი და ეძგერა აჯემოვს. რა უთხრეს ერთმანეთს, დეპეშა არ გადმოგვცემს, მხოლოდ არ გასულა დიდი დრო, რომ ერთმანეთს მუშტებიც დაუშინეს. ბოქაულის თანაშემწემ და თავ. კილდიშევმა გააშველეს მოჩხუბარნი.

ამით გათავდა სხდომა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ**

**ბრიუსელი.** ნაშუაღამევის 2 საათისა და 35 წუთზედ გარდაიცვალა მეფე ლეოპოლდი.

**პარიზი.** აკურთხეს ექიმ პეანუს ძეგლი. ძეგლის კურთხევას დაესწრო პრეზიდენტი ფალიერი. როიალისტებმა ფალიერის საწინააღმდეგო მანიფესტაცია გამართეს, თხოულობდნენ მატისის განთავისუფლებას, რომელიც დაპატიმრებულია ფალიერის შეურაცყოფისათვის. დააპატიმრეს 19 კაცი, მაგრამ მალე ყველანი გაანთავისუფლეს.

**კაირო.** გარდაიცვალა ედხემ-ფაშა. ედხემ-ფაშამ თავი ისახელა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს და ოსმალეთში ერთ ნიჭიერ სარდლად ითვლებოდა.

**სიდნეი.** საკანონმდებლო კრებამ მიიღო გაფიცვების შესახებ კანონ-პროექტი. კანონ-პროექტით გაფიცვის მეთაურები ორი წლით, ხელის შემწყობნი ორი თვით დაპატიმრებით ისჯებიან. ამას გარდა პოლიციას უფლება ეძლევა დაუკითხავად შევიდეს იმ სახლში, სადაც გაფიცვის შესახებ კრებაა გამართული. კანონით აღკრძალულია უსაჭიროეს საგნების დამმუშავებელ მუშების გაფიცვის მოწყობა. ხუთასი მანეთით დააჯარიმებენ იმათ, რომლებიც შეთანხმდებიან უსაჭიროეს საგნებით ვაჭრობის შესაზღუდველად, ან ხელში ჩასაგდებად. გაფიცულთა კონგრესმა წინადადება მისცა მუშებს მუშაობას შეუდგნენ.

**მანაგუა.** ნიკარაგუას პრეზიდენტმა ზელაიამ შეერთებულ შტატების პრეზიდენტს, ტაფტს შეატყობინა, ჩემ თანამდებობაზე ხელს ვიღებ რომ ნიკარაგუას რესპუბლიკას შეძლება მივცე შეერთებულ შტატებთან მეგობრული განწყობილება აღადგინოს ამას გარდა ზელაია ნიკარაგუას მიატოვებს და მზად არის ტაფტს თავის მოქმედების ანგარიში ჩააბაროს.

**ბერლინი.** „კელნიშე ცაიტუნგი" იხილავს პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობას რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ და სწერს: სააგენტოს ცნობა რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ სიმართლეს მოკლებული არ არის. ხმები იმის შესახებ, რომ იაპონია საომრად ემზადება, იმან თუ გამოიწვია, რომ იაპონია სცდილობს მანჯურიაში ახალშენები გააშენოს და ამით მანჯურიაში გაძლიერდეს. იაპონელები თავიანთ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად შეუდრეკლად მოქმედებენ. რუსებმა იაპონელების ამ ლტოლვილებას თავიანთ მხრივ ვერ დაუპირდაპირეს ისეთი რამ, რასაც იაპონელების ახალშენების დაკვალი ფასი და მნიშვნელობა ექნებოდა და ამის გამო გასაკვირველიც არ არის, რომ რუსებში აღელვება იყოსო.

**ვენა.** რეიხსტაგის სხდომები არ შეწყვეტილა. გუშინ და დღეს გალერეიდან ხალხმა ობსტრუქციის მომხრეებს უყვირა და შეურაცყოფა მიაყენა. ამის გამო გალერეიდან ხალხი გაიყვანეს. სხდომა არც ერთხელ არ შეწყვეტილა.

**ნიუ-იორკი.** მანაგუიდან იტყობინებიან: ნიკარაგუას პრეზიდენტმა ზელაიამ კონგრესს შეატყობინა, პრეზიდენტობას თავს ვანებებო.

**პარიზი.** სენატმა უცვლელად მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი მოხუცებულ მუშათა ცხოვრების უზრუნველყოფის შესახებ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა მიიღო მაროკოს შესახებ საქმეების განსაკუთრებულ კომისიის წევრები. მაროკოს სულთანი პრინციპიალურად მომხრეა საფრანგეთის ყველა მოთხოვნილებისა. ამის და მიუხედავად გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა მაინც გადასწყვიტა რომ მაროკოს სულთნის საპასუხო ნოტა ხელმეორედ იქმნეს განხილული. მაროკოს სულთნის საპასუხო ნოტის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს ფინანსთა მინისტრი.

**ათინა.** ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ფინანსთა მინისტრის სიტყვით 1908-9 წლებში შემოსავალს გასავალი ვერ დაუფარავს, ამიტომ საჭიროა საგარეო სესხის აღება. მინისტრი დაჰპირდა პალატას, ზოგიერთ უწყებების ხარჯს შევამცირებთ, სხვა და სხვა გადასახადებს მოვუმატებთ და მომავალ წელს შემოსავალ-გასავალს გავასწორებთო. მინისტრის სიტყვით მომავალ წ. შემოსავალი 146,041,122 დრახმას უდრის.

**ბუდაპეშტი.** კოშუტის პარტიამ გამოაქვეყნა პროექტი იმ ადრესისა, რომელიც იმპერატორს უნდა მიართვან. ადრესში ნათქვამი იქნება, დეპუტატთა პალატას შეუძლიან განიხილოს ბიუჯეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო მეფის და პალატის ნდობით იქნება აღჭურვილიო. დასასრულ იმპერატორს სთხოვენ, სამინისტრო პარლამენტის უმრავლესობისაგან იქმნეს შედგენილი. კოშუტის პარტია დეპუტატთა პალატას სთხოვს, მიიღოს ეს ადრესი და იმპერატორს გაუგზავნოს. კოშუტის პარტიის კონფერენციის გუშინდელმა სხდომამ დაადგინა, წინადადება მისცეს მთავრობას, რადგან ბიუჯეტი ჯერ განხილული არ არის, ამიტომ ფული ისეთ ისეთ საქმეზედ დახარჯეთ, რომლების გადიდებაც არ შეიძლებაო. იუსტის პარტიამ დაადგინა, ყოველივე ღონე ვიხმაროთ, რომ დროებით ბიუჯეტი არ დამტკიცდესო. სახალხო პარტია მომხრეა დროებით ბიუჯეტისა.

**ვენა.** ირწმუნებიან, რომ ობსტრუქციის მოწინააღმდეგე პარტიებს განზრახული აქვთ განიხილონ პროექტი დეპუტატთა პალატის შინაურ მოქმედების წესების შეცვლის შესახებ. პროექტით უნდა გაფართოვდეს პალატის თავმჯდომარის უფლებები იმ პირობით-კი, რომ ეკან წაღებულ იქმნეს სლავიან დეპუტატების მიერ პალატაში შეტანილი სწრაფი შეკითხვები და დროებითი ბიუჯეტი პალატამ განიხილოს და დაამტკიცოს.

**ბუდაპეშტი.** მინისტრ-პრეზიდენტმა პალატაში შეიტანა 1910 წლის ორი თვის დროებითი ბიუჯეტი. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: სამინისტროს არ შეუძლიან მთელი ბიუჯეტის შემოტანა, რადგან იგი სამსახურიდან გადადგა და თუ აქამომდის მთავრობის სათავეში დგას ეს იმით აიხსნება, რომ მისი თხოვნა გადადგომის შესახებ ჯერაც არ მიუღია იმპერატორს. დასასრულ მინისტრ-პრეზიდენტმა ითხოვა დროებით ბიუჯეტის დამტკიცება და ბიუჯეტის გადაცემა საფინანსო კომისიაში. დეპუტატმა იუსტმა განაცხადა: ნუ შევიწყნარებთ მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნას ბიუჯეტის დამტკიცებისა და საფინანსო კომისიაში გადაცემის შესახებ. მართალია კანონით მოვალენი ვართ, ბიუჯეტი კომისიას გადავცეთ, მაგრამ ეს კანონი ჩვენთვის ეხლა სავალდებულო აღარ არის, რადგან ეხლანდელი სამინისტრო მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვით, გადამდგარია და პარლამენტის წინაშე პასუხს არ აგებსო.

**ჰაერში ფრენა.**

**ისსი-ლე-მულინო.** ლესეპსმა ბლერიოს სისტემის ჰაეროპლანით 90 წუთი და 26 წამი იფრინა:

**რუსეთი**

**კიევი.** დაიწყო კიევის გუბერნიის მომხმარებელთა საზოგადოების წარმომადგენლების კრება. კრებაში მონაწილეობას იღებს 201 საზოგადოება.

**პოლტავა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა ხელმეორედ აღძრას შუამდგომლობა, რომ პოლტავაში პეტრე დიდის სახელობაზე საგრონომიო ინსტიტუტი გაიხსნას. ქალაქის საბჭომ ინსტიტუტისთვის გადასდო 200,000 მანეთი და შენობა 200,000 მანეთად ღირებული.

**ასტრახანი.** ბესკულაკიდან 80 ვერსის მანძილზე შავი ჭირი გაჩნდა. 3 დეკემბრამდე გარდაიცვალა 13 კაცი.

**პერმი.** საგუბერნიო ერობამ ურალის პოლიტეხნიკუმის გასახსნელად გადასდო ნახევარ მილიონი მანეთი.

**ტამბოვი.** სოფელ გორიუშკაში პოლიციამ მოჰკლა ყაჩაღთა ბრბოს მეთაური. ბრბოს მეთაურმა დასჭრა ურიადნიკი. მოკლულს აღმოაჩნდა ბრაუნინგი, პატრონები და 570 მანეთი.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ძმებ ლიდვანსკების საქმე. ბრალდებოდათ მამინაცვლის მოკვლა. თავდაპირველად ეს საქმე გაარჩია საეხედრო სასამართლომ და გადაუწყვიტა სამ-სამი წლით ტუსაღთა განყოფილება. პროკურორმა ეს საქმე მთავარ სამხედრო სასამართლოში განასაჩივრა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია „ნოვოე ვრემია"-ს თანამშრომლის, მენშიკოვის საქმე. მენშიკოვს უჩიოდა გენერალი ფლუგა, ცილი დამწამაო. სასამართლომ გაამართლა მენშიკოვი.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4, ავად არის 59 კაცი.

# განახლების ნიშნები

ამას წინად „დროება"-ში (№ 265) დაიბეჭდა საყურადღებო ამბავი: მოსკოვში შემდგარა დრამატიული წრე ქართულ სცენისთვის მსახიობების მოსამზადებლად. არ ვიცით, მიაქციეს თუ არა ამ ამბავს ყურადღება იმათ, ვისი მოვალეობაც არის, მაგრამ ამბავი-კი საინტერესოა და ყურადღების ღირსი.

ჩვენი სცენის საქმეები დაქვეითდა. ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს და ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. წლევანდელი სეზონი ტფილისის თეატრისა საუკეთესო ილიუსტრაციაა ამისა. შეიძლება ბევრმა ქუთაისის თეატრზე მიგვითითოს. მართალია, ქუთაისში საქმეები წელს კარგად მიდის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოვლენა დროებითი მიზეზებით აიხსნება.

საქმე ის არის, რომ ჩვენ სცენას არა ჰყავს ახალგაზრდა, ინტელიგენტი და გაწვრთნილი მსახიობები. ძველმა, მართლა ნიჭიერმა მსახიობებმა თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს. ოცდა ათი წელიწადია ეს მსახიობები დარაჯად ედგნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ ქართულ სცენას. ბევრი შრომა, ბევრი ტანჯვა გამოიარეს მათ. მაგრამ ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება. შეიცვალა საზოგადოების გემოც, მოთხოვნილებაც. გაჩნდა ახალი თეატრი, ახალი დრამა. ის მსახიობი, რომელიც ოცდა ათი წელიწადი ერთ მიმართულებას ემსახურებოდა, ახალს ნაკლებად შეეთვისება. ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენი ძველი მსახიობები ხორცმეტნი არიან. ნიჭიერი მსახიობი, ძველი იქნება იგი თუ ახალი, ყოველთვის სასარგებლოა თეატრისთვის. ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი სცენის სულის ჩამდგმელნი უნდა იყვნენ ახალი მსახიობნი, ახალის ცოდნით აღჭურვილნი, საქმის სიყვარულით გატაცებულნი.

ასეთები-კი არა გვყავან: აბა თვალი გადაავლეთ ჩვენ ახალგაზრდა მსახიობებს: ერთის ან ორის გარდა, არც ერთს არ დაერქმის არტისტი. ესენი არიან ნამდვილი სცენის-მოყვარენი და მეტი არაფერი. არა აქვთ მათ ცოდნა, არ გაუვლიათ სასცენო სკოლა. სცენის მოყვარენი-კი ვერც ახალს შეჰქმნიან რასმეს და ვერც საზოგადოების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ.

აი ამიტომ არის საჭირო ახალგაზრდა, ინტელიგენტი და განათლებულ მსახიობების მომზადება ჩვენი სცენისათვის.

სწორედ ეს საქმე დაუსახავს მიზნად იმ დრამატიულ წრეს, რომელიც მოსკოვში დაარსებულა. ჩვენ კერძოდ ვიცით, რომ წელს მოსკოვში ბევრი ქართველი ყმაწვილი ქალი და კაცი წავიდა სასცენო ხელოვნების შესასწავლად. სტუდენტებს შორისაც ბევრია სასცენო ხელოვნების მოტრფიალე და მსურველი ამ ასპარეზზე მუშაობისა. ყველა ესენი წრის ხელმძღვანელობით შეუდგებიან მეცადინეობას, და ქართულ თეატრს გაუჩნდება ახალი ჯგუფი ინტელიგენტ და მომზადებულ მუშაკებისა.

სამწუხაროდ, როგორც ყველა ჩვენს საქმეში, აქაც საქმის წარმატებას ხელს შეუშლის უსახსრობა. წრეს ბევრი რამე სჭირდება, სახსარი-კი არ მოეპოვება. ამიტომ დახმარება აუცილებელია. ვფიქრობთ, რომ უპირველესი ყურადღება ამ საქმეს ტფილისისა და ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებებმა უნდა მიაქციონ. ამ საზოგადოებების დანიშნულება მარტო ანტრეპრენიორობა არ არის. ისინი ყველაფრით უნდა სცდილობდნენ ხელი შეუწყონ დრამატიულ და სასცენო ხელოვნების აღორძინებას. მათვე უნდა მიაწოდონ სახსარი ახალ წრეს. ჯერ-ჯერობით ამ საქმეს შეიძლება სულ უბრალოდ ეშველოს. ტფილისში და ქუთაისში რომ თითო წარმოდგენა გაიმართოს და მთელი შემოსავალი რომ წრის სასარგებლოდ გადაიდოს, ას თუმნამდე შემოვა და ამით წრე პირველ ხანს ხელს მოინაცვლის.

საზოგადოდ-კი, ვიმეორებთ, დრამატიულ საზოგადოებების მოვალეობაა იზრუნონ ამ საქმეზე და მუდმივი წყარო აღმოუჩინონ იმ წრეს, რომელსაც აზრად ეროვნულ თეატრის აღორძინება აქვს.

# წერა-კითხვის საზოგადოების კრება

დღეისთვის დანიშნულია ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრება.

როგორც საზოგადების ანგარიშიდანა სჩანს, საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყოლია 328 ნამდვილი წევრი, ვისაც სამ-სამი მანეთი შეუტანია. ამას გარდა საზოგადოებას ჰყოლია რვა საპატიო წევრი და ორმოცდაჩვიდმეტი დამფუძნებელი წევრი.

საზოგადოებას რვა სკოლა ჰქონია. ამათგან თითონ ინახავს ხუთ სკოლას: კავკავისას, ბათომისას, გომარეთისას, ყალამშიისას და საგურამოსას. წერა-კითხვის საზოგადოების გამგებლობაშია ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელი და მისივე განყოფილება სენაკში. ორივე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ხარჯით ინახება. წინარეხის სკოლას საზოგადოება ინახავს სოფლის დახმარებით.

საანგარიშო წელს საზოგადოებას 13 სამკითხველო ჰქონია: ოთხი ტფილისში, დანარჩენი პროვინციაში.

შემწეობა აღმოუჩენია ფულად და წიგნებით: ოთხ სკოლისთვის და 11 ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის.

საანგარიშო წელს საზოგადოებას გამოუცია: ილია ჭავჭავაძის ნაწერები, სულ ათი წიგნი, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი", „დედა-ენა" და „რუსკოე სლოვო" გოგებაშვილისა.

წლის განმავლობაში საზოგადოების მაღაზიიდან გასულა 28920 მან. 91 კაპ. წიგნი და რვეული.

საზოგადოებას 1908 წელს მოსვლია სულ 25411 მან. 38 კაპ., დაუხარჯავს 28,743 მ. 09 კ. ამ ნაირად, საზოგადოებას დეფიციტი ჰქონია 3331 მან. 71 კაპ. აქ შედის დანაკლის წიგნების ფასი—2282 მან. 07 კაპ.

დღეს კრება მოხდება ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში და დაიწყება დილის 11 საათზე. კრებამ უნდა განიხილოს 1908 წლის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, მომავალი წლის სავარაუდო აღრიცხვა და მიმდინარე საქმეები.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

**✦ გლეხების აყრა.** როგორც ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ ჰამუთაბეის წერილიდან იციან მკითხველებმა, სოხუმის ოლქში სახელმწიფო ადგილიდან აჰყარეს 40-მდე ქართველი გლეხი. გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ამ გლეხის სამი წარმომადგენელი, რომელთაც დავალებული აქვთ, ხელმეორედ იშუამდგომლონ ნამესტნიკის წინაშე, რომ 30 წლის წინად დასახლებული ეს გლეხები დასტოვონ ამ ადგილზე. წარმომადგენელთა ნალაპარაკევი ქვას აატირებს, ასეთ მწარე ყოფაშია 50 კომლი გლეხი. სოფელი ამათ გაუშენებიათ ოთხმოციან წლებში. ველური ადგილი წალკოტად უქცევიათ და ახლა ერეკებიან რუსის გლეხების დასასახლებლად. სახლები დაუბეჭდიათ და გლეხები თავიანთ ცოლ-შვილით ამ ზამთრის პირზე გარეთ ცამოუკიდათ—სხვა გიჩვენო, რაც გინდა ის ქენი... ეხლა მთელი სოფელი თურმე იქვე მინდორშია დაბანაკებული...

**✦ სკოლების საკითხი.** „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: იმ კომისიაში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს არა რუსთა სკოლების დებულება მოიწვიეს კავკასიელი დეპუტატები: ჩხეიძე, გეგეჭკორი, ხასმამედოვი და სალათელიანი. კავკასიელ დეპუტატების თანადასწრებით კომისიამ შესაძლებლად იცნო, დაარსდეს სკოლები, სადაც სწავლება ქართულსა, სომხურსა და თათრულ ენებზედ იქნება. კომისიამ არ შეიწყნარა დეპუტატ ხასმამედოვის წინადადება, რომ თათრულ ენის მაგიერ სკოლებში ოსმალურ ენაზედ სწარმოებდეს სწავლება. კომისიის აზრით, ოსმალური ენა ხელს შეუწყობს პანისლამიზმის გაძლიერებას. კომისიამ აგრეთვე არ შეიწყნარა წინადადება, რომ სკოლებში სწავლება ოსურსა და მალოროსიულ ენებზე სწარმოებდეს.

**✦ საქმის მოსპობა.** „ბაკუს" სიტყვით, იუსტიციის მინისტრ შჩეგლოვიტოვს სინოდისთვის შეუტყობინებია, რომ საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობის საქმე სულ მოვსპეთ, რადგან დამნაშავენი ვერ აღმოვაჩინეთო.

**✦ საბჭოს სხდომა.** ხვალ, 7 დეკემბერს, მოხდება ტფ. საბჭოს სხდომა, რომელსაც 14-მდე საქმე აქვს განსახილველი. საბჭო აარჩევს სატეხნიკო, სარევიზიო და ჯანმრთელობისთვის მზრუნველ კომისიების წევრებს, განიხილავს სავალდებულო დადგენილებათა პროექტს ავტომობილებისათვის; განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას და სხვას.

**✦ აკად. მარრის ახალი თხზულება.** აკადემიკოსს მარრს დაუწერია ახალი თხზულება სომხურ ხელოვნების ისტორიის შესახებ. ამ თხზულებას ახლო ხანში გამოსცემს სამეცნიერო აკადემია.

**✦ დიდი ნავთის მწარმოებელი საზოგადოება.** ბაქოში არსდება თურმე დიდი ნავთის მწარმოებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებას აარსებენ ინგლისელები ბუნგესა და პალაშკოვის ფირმასთან ერთად. ძირითადი თანხა რამდენიმე ათი მილიონი მანეთი იქნება. მუშაობას მარტში შეუდგებიან. ოსტატებს ამიერიდანიბარებენ.

**✦ დახმარება ქალთა უმაღლეს კურსებს.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალთა უმაღლესმა კურსებმა ქალაქს ყოველ წლიურად 5000 მანეთი სთხოვა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეიტანოს 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 5000 მან. კურსებისთვის. ამავე სხდომაზე გამგეობამ განიხილა მოხსენება კურსების საბჭოსი. საბჭო სთხოვდა კურსებს დასთმობოდა განსვენებულ გულიშამბაროვის მიერ ნაანდერძევი სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა იმ პირობით არის ნაანდერძევი, რომ ჯერ თვით ესარგებლნა და მერე, თუ ტფილისში უნივერსიტეტი დაარსდება მას გადაეცეს. ამ პირობის ძალით, გამგეობამ დაადგინა, უარი შეუთვალოს კურსებს. გამგეობის დადგენილებით, კურსებს შეუძლიან ისარგებლოს ბიბლიოთეკით.

**✦ ნავთის-ჭალაში.** ტფ. ქალაქის თვით-მმართველობას დარჩა ნავთის-ჭალაში ნავთის აღმოსაჩენად მოგაკეთებული მანქანა, რადგან მოიჯარადრემ შესწყვიტა მუშაობა. გამგეობამ დაადგინა, გაჰგზავნოს ტეხნიკოსი ინვენტარის სიის შესადგენად. დაადგინა აგრეთვე, სთხოვოს მაზრის უფროსს, ნავთის-ჭალაში თვალ-ყურის სადევნელად ორი დარაჯი დანიშნოს.

**✦ ქალაქის მდივანი დამტკიცდა.** ტფ. საბჭომ ქალაქის მდივნად, როგორც ვიცით, აირჩია ისევ მ. ა. ჯაბარი. გუშინ გუბერნატორის კანცელარიამ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ჯაბარი დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაზედ.

✦ **თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა.** საგუბერნიო გამგეობამ მისწერა ქალაქის გამგეობას, ავჭალისა და გეიდენოვის ქუჩების შესართავთან არგუთინსკის ადგილზე, გუნცაძე აშენებს თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას და ითხოვს ნებართვას. გვაცნობეთ, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთო.

✦ 3 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა გურჯაანელი გლეხი სიმონ პატგოშვილი დაპატიმრებული აღმოჩნდა ჰულაშვილი იგი 1908 წელს გადასახლეს, მაგრამ იქიდან გამოქცეულა და ტფილისში იმალებოდა. ამავე დღეს დააპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი ალექსანდრე იშეევი, რომელიც ამგვარადვე გამოპარულა გადასახლების ადგილიდან. ოლგას ქუჩაზე დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელმაც თავი კავთისხევის მცხოვრებად გიორგი რამაზაშვილად გამოაცხადა. ნამდვილად კი უცნობი აღმოჩნდა ანანურის მცხოვრები გიორგი ლაზარევი, რომელიც ენისეის გუბერნიაში გადაუსახლებიათ ჯარის კაცთა შორის პროპაგანდისათვის. იგი გამოქცეულა ტფილისში, აქ პასპორტის ბლანკი უშოვნია, რამაზაშვილის გვარზე გაუკეთებია და სცხოვრობდა. 1907 წ. ლაზარევი ბაქოში გეგეჭკორის სახელით სცხოვრობდა, იქ დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ ოლონეცკის გუბერნიაში, მაგრამ იქიდანაც გამოქცეულა.

# მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** 30 ნოემბერს ქიზიყის სამღვდელოების კრება იყო ბოდბისხევში საეპარქიო კრებისთვის დეპუტატის ასარჩევად. კანდიდატებად დაასახელეს ბლაღოჩინი კირილე დვთისავრიშვილი და მღვდელ. კონდრატე ნინიკაშვილი (იმერელია). მღვდელ ჯამასპიშვილმა სთქვა, ჯერ გაგვაგებინეთ, რაზე ექნებათ დეპუტატებს მსჯელობა, რომ შესაფერი კაცი ავირჩიოთო. ბლაღოჩინმა დვთისავრიშვილმა ჩამოსთვალა: სემინარიაზე, სემინარიის ძველ შენობაზე, სემინარიის შენახვაზე, ბევრ სხვა რამეზე და იმაზედაც, ჩიჯავაძეს და თალაკვაძეს რომ კამათი ჰქონდათო. მაშინ რექტორმაც განაცხადა კრებაზე, იმერლებს 3000 მანეთი არ შემოუტანიათ და სტიპენდიებით მეტითაც სარგებლობენო... ამაზე ჯამასპიშვილმა სთქვა, მაშ ნინიკაშვილი, როგორც იმერელი, იმერლების მხარეს დაიჭერს და დეპუტატად არ გამოდგებაო. ესვე დაადასტურა მღვდელმა ილია ალადაშვილმა. კრების თავმჯდომარე და თვით კრება სდუმდა. ამაზე პროტესტი განაცხადა მღვდ. ნინიკაშვილმა. აირჩიეს ბლაღოჩინი დვთისავრიშვილი.

განმარტება საჭირო აღარაა. მხოლოდ დაავიწყდათ აქაურ მღვდლებს, რომ იმერეთის ეპისკოპოსი ქიზიყელია, ილია ალადაშვილის ბიძა, და იმერეთისთვის ჯერ არაფერი დაუშავებია... ქიზიყელ მღვდლების წარმოდგენით, არ შეიძლება, ქიზიყელი იმერეთში, ან იმერელი ქიზიყში კარგი კაცები იყვნენ. მოძღვრებიც ასეთი უნდა! ვინც ამ ფაქტს უარ-ჰყოფს, მოწმედ მთელი კრებაზე დამსწრე მღვდელ დიაკვნებს ვასახელებ. ასეთის ბნელი აზრით ჯერ ბევრი მღვდელი ხუცობს და სასურველია, საეპარქიო ქართველ სამღვდელოების კრებებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

**დამსწრე.**

—

**აბედათი** (სამეგრელო) ჟურნალ „მოსავლის“ მე-11 ნომერში ბ-ნი ნახუცრიშვილი მოგვითხრობს, რა სარგებლობა მოუტანა რუსეთის გლეხკაცობას ერობამ და განსაკუთრებით აგრონომებმა. დიდად საყურადღებოა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ ჩვენში არც ერობაა შემოღებული და არც აგრონომები გვყვანან და არც აბადია ჩვენ ხალხს დღეს ისეთი გულშემატკივარი, რომელმაც გზა უჩვენოს, შეასწავლოს და გააცნოს თანამედროვე სამეურნეო ტეხნიკა. იცის კი ხალხმა, რომ სპეციალისტ—აგრონომს თავის ცოდნა გამოცდილებით დიდი დახმარება შეუძლიან სამეურნეო დარგში, და თუ ვინმე ასეთი გამოჩნდა სოფელში, დიდისნდობით ეპყრობა და შეძლებისდაგვარად სარგებლობს მისი ცოდნით. ამისი მაგალითი გვაჩვენა აბედათის სოფლის ორ კლასიან სასწავლებლის მასწავლებელმა ნ. ბახტაძემ.

ხუთი წელიწადი იქნება, ხსენებულ სასწავლებელში განაწესეს მასწავლებლად ნიკო ბახტაძე. 1908 წლამდის ის მეორე მასწავლებლად იყო, შემდეგ პირველობა მიიღო. ბახტაძეს დამთავრებული აქვს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი. რაც აბედათის ორკლასიანი სასწავლებელი არსებობს, იქნება 35 წელიწადი მაინც. ამ ხნის განმავლობაში სასწავლებელს არაფერი წარმატება არ დასტყობია. გლეხობა აღმაცრად უყურებდა სასწავლებელს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილები ვერაფერს შეიძენენ და მოსწავლეთა რიცხვიც 30, 40-ს არას ოდეს არ აღმატებია. დანიშნეს ბახტაძე თუ არა, მაშინვე შეუდგა იგი სასწავლებლის განახლება-განკეთილებას, სასწავლებლის საკუთრებმ მიწის შემოკავება-შემოღობვას. გამართა და გააშენა ბოსტნეული, ხეხილისა და ვენახის ბაღი. დარგო და დათესა მრავალი სხვა და სხვა გვარი მცენარე. სასწავლებელი სახლიც შესაფერად მორთო-მოაწყო. ამით ბახტაძემ ბევრი სამდურავი და წყრომაც დაიმსახურა ადგილობრივ სოფლის მოხელებისაგან (რომლებსაც სასწავლებლის მიწა თავიანთ ცხენების საძოვრათ უნდოდათ), მწყრამ ბახტაძემ თავის მოვალეობას არ უმტყუნა და სასწავლებელი ადაყვავა. მის დანიშვნამდის მოსწავლეთა რიცხვი 30, 40 რომ არ აღემატებოდა, დღეს 160-დე ადის. ბევრს უადგილობის მიზეზით უარი უთხრეს.

გლეხობამ დააფასა ბახტაძის ნაყოფიერი მუშაობა და დგაწლი და წაბაძა მას მუშაობაში. მიესივნენ მთხოვნელები, ეჩვენებინათ მუშაობის ახალი წესი, გამოეწერა მათთვის დამუნილი ვაზი და სხვა. მასწავლებელი ყველაფერს აკეთებდა. გამოუწერა ამერიკულ ვაზზე დამუნილი ნერგები, შეასწავლა ხალხს მიწის გადაბრუნება, ვენახის დარგვა, მოვლა და წამლობა. რომლის წყალობით და წახედვით დღეს აბედათის საზოგადოებაში ფეხს იკიდებს ეს საქმე.

მე მგონია, სანამ ორ კლასიანი და თითო კლასიანი სამინისტრო და საეკლესიო სასწავლებლებში არ დაინიშნება თითო მასწავლებელი მაინც, სასოფლო მეურნეობის მცოდნე მანამ უთვალავი იმედი და მეცადინეობა სოფლის მეურნეობის ასაწევად, ამაო იქნება.

სასურველია აგრეთვე სოფლის მასწავლებლები იწერდნენ ჟურნალ „მოსავლის“ და იმის საშუალებითავრცელებდნენ გლეხობაში სამეურნეო ცოდნას.

**იასებ ანჯაფარიძე.**

—

**კვირიკე წმინდა.** (რაჭა) როგორც ვიცით, თუ სოფლის საზოგადოებიდან წასულია ვინმე სალდათად, იმის ოჯახი თავისუფლდება უოველგვარ გადასახადისაგან. მისი ხვედრი გადასახადი ეწერება მთელს სოფელს. სოფ. კვირიკე-წმინდიდან წასულია ოთხი სალდათი კვირიკე წმინდა პატარა სოფელია, და სოფელმა ხარჯის გაწერის დროს ამ სალდათების პატრონებსაც გაწერეს. სამმა მათგანმა. გადახდაზე თანხმობა განაცხადა, ხოლო მეოთხემ გლახუა მესხმა უარი სთქვა და ბოქაულს მიმართა სოფელზე საჩივრით. ბოქაულმა, რასაკვირველია, სოფელს ბრძანება გამოუგზავნა, რომ გლახუა გადასახადებისაგან გაენთავისუფლებინა. ამ ამბავზე ის პირველი სამიც გაჯიუტდა, თუ გლახუა არ გადაიხდის, არც ჩვენ გადავიხდითო. ამაზე შეიკრიბა სოფელი და დაადგინა შემდეგი: როგორც მიზეზს სოფლის ზედმეტ ხარჯის გადახდისას, გლახუას გამოეცხადოს სასტიკი ბოიკოტი და უკეთუ ვინმე ბოიკოტს დაარღვევს, მან სოფლის სასარგებლოდ გადაიხადოს ჯარიმა, მამაკაცმა 5 მ. და დედაკაცმა სამი მან. ბოიკოტი იმ დღესვე სისრულეში მოიყვანეს.

ამ ნაირად დარჩა ცოცხალი გლახუა მკვდართა სამეფოში. იგი ყოველ კაცს გაპარჯვებას აგებებდა წინ, მაგრამ გაგიმარჯოს არავინ ეუბნებოდა. და სამი კვირის შემდეგ ისევ სოფელს მიმართა თხოვნით, ეპატიებინათ. გლახუამ მოიხადა სოფლის წინ ბოდიში, გადაიხადა ხვედრი ფული და სოფელმაც ისევ მიიღო, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემდეგში მსგავს არაფერს ჩაიდენდა.

**სხვაველი.**

# გეუწუნარეგელი გულგრილოგა

(წერილი რედ. მიმართ)

ამა წლის 10 მარტს თქვენს პატივცემულ გაზეთში დაიბეჭდა განცხადება ოდესის ქართ. სტუდენტთა წრის მოვალეების საყურადღებოდ. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ დღიდან განცხადებისა, მოვალეებს ეძლევათ ერთი თვის ვადა და შემდეგ გვარები იქნება გამოცხადებულიო. ჩვენ როგორც განცხადების დაბეჭდამდის, ისე შემდეგაც გავუგზავნეთ პირადად წერილები ყველას, ვისი ადრესიც-კი შევიტყვეთ. მაგრამ აგერ ათი თვე თავდება და **მხოლოდ რვა კაცმა** მიაქცია ყურადღება ჩვენს თხოვნას. ამათში ზოგმა სულ გამოგზავნა ვალი და ზოგიც ნაწილ-ნაწილად იხდის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ გრიგოლ იგანეს ძე ოჯანეზოვისაგან მივიღეთ 10 მ., რომელზედაც არავითარი ვალი არა უდფილა დარჩენილი და რომელსაც უდრმეს მადლობას უძღვნის ოდესის ქართ. სტუდენტობა.

დიახ! ათი თვის განმავლობაში მხოლოდ შვიდმა ნამდვილმა მოვალემ გაგვცა პასუხი. რას ფიქრობენ დანარჩენები? რით აიხსნება ასეთი გულგრილობა? რისთვის არ მოიგონებენ თავიანთ ზნეობრივ მოვალეობას? ნუ თუ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართ. სტუდენტობა საერთოდ აუტანელ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ ოდესის ქართ. სტუდენტების გაჭირვებამ უკიდურეს წერტილამდის მიაღწია ამ წელიწადს. აქაურ სტუდენტების ერთად-ერთი სახსარი იყო ქართული სადამო. ქართულ ეროვნულ სადამოს გამართვა წელიწადში ერთხელ ტრადიციად გადაიქცა. გარდა იმისა, რომ ასეთ სადამოების საშუალებით ქართ. სტუდენტობა სცდილობდა ეჩვენებინა აქაურ საზოგადოებისთვის ცოტა რამ ეროვნული, შემოსავალიც რჩებოდა და გაჭირვებული სტუდენტები ხელს იმართავდნენ. მაგრამ გრადონაჩალნიკმა ბ-ნმა ტოლმაჩოვმა გადაჭრით გამოგვიცხადა, რომ არავითარ ეროვნულ სადამოს გამართვის ნებას არ გაძლევთო... ეს ერთად-ერთი საშუალებაც მოგვისპო და ამრიგად ადგ. ქართ. სტუდენტობას წარსულ წლებთან შედარებით ამ წელიწადში აუტანელი გაჭირვება მოელის.

**და ეს გვაიძულებს მივმართოთ თხოვნით ად. ქართ. სტუდენტების წრის მოვალეებს ერთხელ და უკანასკნელად, რომ გამოგზავნონ მათზე დარჩენილი ფული.**

ჩვენ ძალიან გვიძნელდება გვარების გამოცხადება. და თუ არც ამ მეორე განცხადებას მიაქციეს ყურადღება, **უსათუოდ გვარები იქნება გამოცხადებული გაზეთში.**

ადრესი: „Одесса. До востребованія. ст. Гедеону Г. Габуніа“.

ოდ. ქართ. სტ. მონდობილობით სტ.

**გედევან გაბუნია.**

P. S. უმორჩილესად ვსთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს წერილი. **გ. გ.**

# თეატრი და ხელოვნება

**ავლაბრის თეატრი.** დღეს, 6 დეკემბერს, საღამოთი, ავლაბრის თეატრში დანიშნულია ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად საიუბილეო წარმოდგენა. ავლაბრის ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთ ამ დღისთვის შეერთებული დასები მართავენ ქართულ-სომხურ წარმოდგენას. ქართული დასი გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოადგენს მე-5 მოქმედებას „ორი ობლიდან“ და 1-ლ მოქმედებას „ხანუმიდან“. ხოლო სომხური დასი მე-2 მოქმედებას გ. სუნდუკიანცის „დაქცეულ ოჯახიდან“. დასასრულ, გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომლის დროსაც, ყვავილებით მორთულ სცენაზე დამწკრივდებიან ქართული და სომხური სცენის მოყვარენი და მიულოცავენ დღესასწაულს. ამ დროს სცენაზევე იდგება ქართული და სომხური მომღერალთა გუნდი და შეასრულებს რამდენსამე სიმღერას. ქართულ ხოროს ლოტბარობს ჩარკვიანი და სომხურს—მურადიანი ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი ქუთაისში.** ტფილისის შემდეგ დამსახურებულ მსახიობის ნატალია გაბუნია-ცაგარლის იუბილეი ქუთაისმა გადაიხადა. ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, ქალაქის თეატრი სადღესასწაულოდ იყო მორთული. შესავალი კარები და დარბაზი ყვავილთა გვირგვინებით და ბაირაღებით იყო მორთული. დარბაზში, კედლებზე აკრული იყო იმ პიესების სათაურები, რომლებშიაც იუბილიარს მონაწილეობა მიუღია თავის ხანგრძლივ სასცენო მოღვაწეობის დროს.

დღესასწაული დაიწყო მეცხრე საათზე. ფარდის ახდისას ლამაზად მორთულ სცენაზე გამოჩნდნენ იუბილიარის პატივისმცემელნი. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა თვით იუბილიარიც იგრიალა ტაშმა. მუსიკამ შეასრულა „მრავალ-ჟამიერი“. შემდეგ დაიწყო რიგ-რიგობით მილოცვები. დღესასწაული გახსნა და პირველი სიტყვა წარმოსთქვა დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა ანჯაფარიძისამ, რომელმაც ამ საზოგადოების სახელით იუბილიარს მიართვა საჩუქარი. საერთოდ მილოცვამ საათ-ნახევარზე მეტ ხანს გასტანა. 50-მდე დაწესებულებამ და საზოგადოებამ მიიღო დღესასწაულში მონაწილეობა.

აღვნიშნავთ უფრო საყურადღებო ადრესებს. ასეთი იყო: ქართულ-დრამატიულ დასისა, წარმოთქმული ქ-ნ ნინო ჩხეიძის მიერ, რამაც ხანგრძლივი ტაში გამოიწვია. ალტაცებით მიეგებნენ ნოქრებისა და მუშების წარმომადგენლის სიტყვას. შინაარსიანი იყო აგრეთვე მილოცვა ბ-ნ დავით კლდიაშვილისა, ბაღდათის მხრიდან ბ-ნ გ. ახვლედიანისა, „ფონის“ რედაქციის წარმომადგენლის ბ-ნ გიორგაძისა. მიულოცეს აგრეთვე ექიმებმა, სათავად-აზნაურ ბანკმა (საჩუქარიც მიართვა). წარმოსთქვეს სიტყვები ი. ბახტაძემ, ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენელმა, ქართულ გიმნაზიის წარმომადგენელმა, ვალერიან გუნიამ და სხვებმა, მაგრამ ყველაზე მეტი ალტაცება გამოიწვია ბ-ნ დავით მესხის პატარა ადრესმა.

მილოცვების დასრულების შემდეგ ითამაშეს მეხუთე მოქმედება „ორი ობოლი“-სა და პირველი მოქმედება „ხანუმა“-სი.

ცოცხლად და მხიარულად ჩაიარა „ხანუმამ“.

დღესასწაული დასრულდა აპოთეოზით. ტაში, მუსიკის ხმაში არეული, დიდ-ხანს არ შეწყვეტილა...

**ჯაფარ-ფაშა.**

# საარჩევნო გრძოლა ინგლისში.

**პროტექციონისტების მანიფესტი.**

ამ დღეებში ვწერდით, რომ კონსერვატორები, ლორდები და საზოგადოთ პროტექციონისტები მხნედ მუშაობენ, საარჩევნო აგიტაციისათვის მილიონამდე ბროშიურა და ფურცლები გამოსცეს. ჯოზეფ ჩემბერლენს შეუდგენია მანიფესტი და პროტექციონისტთა სახელით გამოუქვეყნებია მანიფესტში ნათქვამია, რომ ყველა საქონელზე უნდა დაწესდეს გადასახადი, გარდა დაუმუშავებელ საქონლისა: მიზანი გადასახადების დაწესებისა შემდეგია: 1) სახელმწიფო შემოსავლის გადიდება და 2) შინაურ წარმოების უპირატესობა იმ ბაზრებზე, სადაც შინაური მწარმოებელი კონკურენციას უწევს უცხოელ მოფაბრიკეს. 3) რომ კოლონიებს უპირატესობა მიეცეთ. 4) გადასახდები და ბაჟი საშუალებას გვაძლევს ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება დაუდოთ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ინგლისის საქონელზე ბაჟს იღებენ, 5) ბაჟი მეტს გაბედულებას აძლევს კაპიტალისტს და აფართოვებინებს წარმოებას. ამასთან უმუშევრობასთან საბრძოლველად ბაჟების დაწესება შეგვიწყობს, სამუშაოს გაამრავლებას. მუშებს სამუშაოს გაუჩენს და სხვა. ინგლისის პროტექციონიზმი არ უნდა მიაგავდეს გერმანელებისას. დაუმუშავებელი საქონელი უბაჟოთ უნდა შემოდიოდეს ინგლისში. ბაჟი უნდა დაწესდეს საქონლის ღირებულების 5 დან 15% მდე. თუ ასეთი ბაჟი იქმნა შემოღებული ინგლისს ყოველ წლივ 150 მილიონიდან 200 მილიონ მანეთამდე მოემატება. ვაჭრობა მრეწველობა აყვავდება და გაცხოველდებაო.

**ლიბერალების აგიტაცია.**

ყოველ დღე ფართოვდება აგიტაცია. პარტიები და პარტიების ლიდერები დიდ ენერგიას იჩენენ და თავგამოდებით ეწევიან ხალხში აგიტაციას. იმართება მიტინგები. ლიბერალთაგან დიდ ყურადღებას იპყრობს ჯონ ბერნსი, რომელიც ბიუჯეტის განხილვის დროს უჩუმრად იყო და ამით კიდეც აკვირვებდა თავის თანამოაზრეებს. ეხლა ბერნსი სხვა ლიბერალებზე არა ნაკლებ მხნე აგიტაციას ეწევა ლორდთა პალატის წინააღმდეგ.

ლიბერალები კონსერვატორების მანიფესტს საგიტაციო მიზნით ხმარობენ. ხალხი უკმაყოფილოა ბაჟების დაწესებით, უმთავრესად სანოვაგესა და საჭმელზე ბაჟის დადებისა. ლიბერალებიც ამას აქცევენ ყურადღებას და აგიტაციის დროს უკითხავენ კონსერვატორების მანიფესტს, სადაც ნათქვამია, რომ ფქვილზე, სპირტზე, ხორცზე და სხვაზე გადასახადი უნდა დაწესდესო.

# სასამართლო

**მკვლელობა.**

1907 წელს 30 მარტს ბორჩალოს მაზრის უფროსისათვის ავაქ დალაქოვს თხოვნა მიუცია—დამიფარეთ ჩემი მეზობლების პოღოსა, ხაჩატურა და სიმონ დალაქოვების და სიმონ გულიანცის თავსდაცემისაგანაო. მაზრის უფროსის განკარგულებაზე მამასახლისს მოუხსენებია, დალაქოვი და გულიანცი გაქცეულები არიან და იმალებიანო, 1907 წელს 1 ივნისს უზლიარის მამასახლისისათვის გამოუცხადებია ოჰანეზ მოსინოვს, რომ ამ ორი საათის წინად მე და ავაქ დალაქოვი ცხენებით მივდიოდით სანაინიდან 1 უზლარში, უკანიდან შემომესმა თოფის ხმა და როდესაც მივიხედე, დავინახე ავაქა ცხენიდან გადმოვარდნილი. იმის მახლობლად იდგა პოღოს დალაქოვი და ხანჯლით ჰკუწავდაო. ამის შემდეგ მამასახლისს მართლა უნახავს რამდენიმე ტყვიით და ხანჯლით მოკლული ავაქა.

ამ საქმის გამორკვევის დროს გამოძიებას, მოწმების გაბო დალაქოვისა, აბრამა აბოვიანცის ჩვენებით აღმოუჩენია ახალი ბოროტმოქმედება:

1907 წელს თებერვალს უკანასკნელ რიცხვებში, ერთ სადამოს, როდესაც უზლიარში ავაქ დალაქოვს სტუმრები ჰყოლია, ავაქას სახლს თავს დასცემიან პოღოს, ხეჩო და სიმონ დალაქოვები, პეტროს და სიმონ გულიანცები, გრიგოლ ეპისკოპოზიანცი და არშაკ მისკაროვი. ყველანი თოფებით ჯოფილან შეიარაღებულნი. უთქვამთ: ჩვენ მოვედით მამასახლისისა და მის ძმების ავაქა და გაბო დალაქოვების მოსაკლავადაო. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს ბევრი უთხოვნიათ, თავი დაენებებინათ ცუდი განზრახვისთვის, მათ მაინც დაუწყიათ სროლა. ნაწილი სტუმრებისა გაქცეულა, ნაწილიც ავაქ დალაქოვთან ერთად დარჩენილა ოთახში. ორმოცამდის ტყვია უსროლიათ, მაგრამ უნაყოფოდ და შემდეგ გაქცეულან. ავაქას მოკვლის შესახებ მოწმეს ნერსეს გრიგოროვს უთქვამს, რომ უნებურად მე გავხდი ამ მკვლელობის მოწამე და კარგად დავინახე, როგორ კუწავდნენ ხანჯლით ცხენიდან გადმოვარდნილ ავაქას ხაჩატურა დალაქოვი და პეტროს გულიანციო.

ამ საქმის განხილვა ტფ. ოლქის სასამართლომ 4 დეკემბერს დაიწყო და ორი დღე მოანდომა გამოჰკითხა ოც მოწამეს. ბრალდებულის სკამზე ისხდნენ ხაჩატურ დალაქოვი (უვადო კატორგა აქვს მისჯილი სამხედრო ოლქის სასამართლოს მიერ), პეტრუს გულიანცი და გრიკორ ეპისკოპოზიანცი. ბრალდებულს ეპისკოპოზიანცს იცავდა ნაფიცი ვექილი კ. ა. იაგუბოვი, ხოლო დანარჩენებს ნაფიცი ვექილი დ. ი. სპასკი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ხაჩატურ დალაქოვი და პეტრუს გულიანცი და ათ-ათი წლით კატორგა მიუსაჯა, ხოლო გრიკორ ეპისკოპოზიანცი გაამართლა.

**განაჩენი.**

როგორც გუშინ ვწერდით, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ვ. და პ. მარგოშვილებისა, რომელთაც ოლქის სასამართლოს მიერ პირველს კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი ხოლო მეორეს—საპატიმროში ჯდომა.

პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

# რუსეთი

✦ **იუსტიციის მინისტრი.** იუსტიციის მინისტრს განუცხადებია, ქალებს უფლება არა აქვთ ნაფიც-ვექილებად იყვნენო, ამის გამო „რეჩ“-ს მოჰყავს იუსტიციის მინისტრის სიტყვები, როდესაც შჩეგლოვიტოვი ჯერ კიდევ მინისტრად არ იყო. შჩეგლოვიტოვი თავის სიტყვაში სხვათა შორის შეეხებია ქალებს და უთქვამს: არვის არ შეუძლიან სთქვ ს, რომ ქალი კარგი იურისტი თავის დღეში არ იქნებაო. უკანასკნელ დროს ქალებში გაიღვიძა ძლიერმა და კანონიერმა სურვილმა დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ქალების კეთილსინდისიერებამ და შეუპოვარმა მუშაობამ ისინი საზოგადოების სასარგებლო და ძვირფას ნაწილად გადააქცია. ქალებს ბევრი [illegible] ძლიან სასამართლოებში და ამიტომ მათ ამნაირ მოქმედების [illegible] მიეცეთ. მე დარწმუნებული ვარ რომ ქალების წრიდან ბევრი ნიჭიერი და კეთილსინდისიერი იურისტი გამოვაო“. რა გარჩევაა მინისტრ—შჩეგლოვიტოვსა და ბრალმდებელ—შჩეგლოვიტოვ შორის!!

**ჯარში.** „ნოვაია რეჩი“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: 16 ოქტომბერს ქ. დანილოვკაში, სხვათა შორის, ჯარში გაიწვიეს სოფელ მიხალევკის გლეხი ნიკოლოზ პლატონოვი. პლატონოვმა სამხედრო საკრებულოშივე განაცხადა, თოფს ხელში ვერ დავიჭერ, ჩემი რწმენის წინააღმდეგია, თუ გინდათ ისე ვიმსახურებო. პლატონოვი მაინც გაგზავნეს სოფელ გრუზანოში. (ნოვგ. გუბერ.) როდესაც პლატონოვს სადილად დაუძახეს, მან უარი განაცხადა პხორცის ჭამაზედ, ცოდვად მიმაჩნია სიცოცხლე წავართვა იმ არსებას, რომლისთვისაც მე არ მიმიცია ეს სიცოცხლეო. პლატონოვმა აგრეთვე უარი განაცხადა ლოცვების სწავლაზედ, ქრისტემ ერთად —ერთი ლოცვა გვასწავლა „მამაო ჩვენო“ და ესეც საკმარისიაო. პლატონოვმა ყველაფერი ეს თავის როტის უფროსს განუცხადა და თანაც დაუმატა, ვერაფერი ძალა ვერ მაიძულებს, რომ ჩემ რწმენას გადავუხვიოვო.

# წერილი რედ. მიმართ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით უგულითადეს მადლობას უცხადებს იმათ, ვინც კეთილი ინებეს და საზოგადოების ბიბლიოთეკას შემოსწირეს წიგნები.

შემომწირველთა სია: ვ. ნებიერიძემ—ზ. ანტონოვის თხზულებათა სრული კრებული; ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა—„ორი ობოლი“ თავისავე როლებით; ტრ. რამიშვილი—„მეზობლები“ დ. ს. მგალობლიშვილი—„პატარა კახი“ „ახალი გმირი“, „თამარ ცბიერი“, თხზ. ანტონოვასა, „ჩვიდმეტი წლისანი“, „თავადი შიო“, „ასული ებრაელისა“, ს. ესაძე—„გუნიბის აღება“, „ისტორიული წერილები საქართველოს მართველობაზე“; და თ. რაზიკაშვილი—„ზღაპრების კრებული“ ორი ეგზემპლიარი.

ვიმედოვნებთ, რომ ამათ მაგალითს სხვებიც მიბაძვენ და მოგვაწვდიან თავიანთ წვლილს. (წიგნები და პიესები) მიიღება საზოგადოების კანტორაში—სასახლის ქუჩა, სათავადაზნაურო ბანკის სახლში.

ბიბლიოთეკის გამგე **ი. იმედაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**

# გარეშე ცნოგა

**ტფილისი.**

ყველგან ამოძრავებულია ხალხი. ახლოვდება ბედნიერი დღეები. შობა, ახალი წელიწადი. ბორჯომისა და მანგლისიდან ჩამოტანილია ნორჩი მწვანე ნაძვის ხეები, რომელთა საკმელსავით სამო სუნი იზიდავს ბავშვების გულის ყურს. ბავშვების მოცინარი პირისახე კმაყოფილებით ივსება საშობაო და საახალწლო საჩუქრების მოლოდინში.

ნაძვის ხეების წინ გაივლის მანდილოსანი ბავშვებით. „ნაძვის ხეები, ნაძვის ხეები!“—ალტაცებით გაიძახიან ბავშვები.

„დედა გაგვიმართე შობის ხე, გვიყიდე ახალი ტანისამოსი საბედნიერ დღეოდ“.

აგერ მოდიან ახალდაზდა ცოლი და ქმარი უყურებენ დიდძალ ნაძვის ხეებს, ლაპარაკობენ თათბირობენ საშობაო და საახალწლო დღეებზე, საბალო ტანისამოსზე, თეთრეულსა და კოსტიუმებზე.

სარისტიანი დიასახლისი ფიქრობს თავის გონებაში, თუ რამდენია საჭირო ქალიშვილის საბალო ტანისამოსისთვის.

მოსამსახურე ქალები — გამდლები და მზარეულები—წინდაწინვე ფიქრობენ და ითვალისწინებენ, თუ რანაირ მატერიას აჩუქებენ მათ თავიანთი ბატონები—ბაზაზისა, სატინასა თუ მატყლის მატერიას. კარგი იქნება, რომ მოდისა იყოსო, ოცნებობენ ბატონურის მედიდურობით.

დღესასწაულები.

იდუმალი, უსაზღვრო სიცოცხლე უბრალო დღეებისა ილვლება რაღაც ახალის, სამხიარულოს და ბრწყინვალეს მოლოდინში.

ჩვენ და უნებურად დღესასწაულებისა გამო, ისეთ დღესასწაულებისა, როგორიც არის შობა,

ხალი წელი, ნათლისღება, ბუნება ახლდება ვახლდებით და ვცოცხლდებით ჩვენც, ახლდება ჩვენი ურთიერთ შორის დამოკიდებულებაც.

გრძნობა სიყვარულისა, მეგობრობა, კეთილი სურვილები იცავენ ჩვენს არსებას-ყველა ეს სულიერად გვახალისებს, გვაახლებს, გვასხვაფერებს და აი აქედან გამომდინარეობს ჩვეულება, რომ ვიცვლით თეთრეულს, ტანისამოსსა და კოსტიუმებს—ახალი შიგნით და ახალი გარედ; ვაძლევთ საჩუქრებს შვილებსა და მახლობლებს, მოსამსახურეებს: თეთრეულს, ტანისამოსს და მატერიებს.

რასაკვირველია, იბადება მოთხოვნილება, იყიდოს კაცმა კარგი საქონელი, იაფად და ამასთან სეზონისა, საბედნიეროდ.

სამანუფაქტურო და თეთრეულის მაღაზიები დღესასწაულების წინ, როგორც იტყვიან ხოლმე, თავაურთმევლად ვაჭრობენ.

საზღვარ-გარედ და სატახტო ქალაქებში დიდი უნივერსალური მაღაზიები შობის წინ, ორი კვირით ადრე, ჰმართავენ საშობაო ბაზარს, იაფ-ვაჭრობის ყველა განყოფილებაში და ამით ათავებენ ზამთრის სეზონს.

ასეთ ბაზრების მიზანია მყიდველებს საშუალება მისცენ იაფად შეიძინონ კარგი ხარისხის სეზონის საქონელი.

საშობაო ბაზრები იმართება ყველგან იმიტომ, რომ საუკეთესო საქონელი, ახალი საქონელი, ზამთრის სეზონისაგან დარჩენილი. გაჰყიდონ სრულიად, აგრეთვე თუმცა იაფად, მაგრამ მაინც გაჰყიდონ სეზონის საქონელი თუ არ ამისთვის, საშობაო ბაზრებს არავითარი მნიშვნელობა და აზრი არ ექნებოდათ.

აქ, ტფილისში, 7 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე 15 დღის განმავლობაში, გაიმართება დიდი საშობაო ბაზარი იაფ ვაჭრობისათვის პ. ს. დოროჟნოვის დიდ უნივერსალურ მაღაზიაში, რომელიც მოთავსებულია სოლოლაკის ქუჩაზე, გურგენოვის სახლში, ტელეფონი № 583. საშობაო ბაზრის ასეთი დიდი იაფი ვაჭრობა მოხდება მაღაზიის ყველა ცხრავე სპეციალურ განყოფილებებში.

ამ ბაზარს დიდი უპირატესობა აქვს წინანდელ იაფ-ვაჭრობასთან არა მარტო იმით, რომ ფასები ყველა საქონელზე ეხლა გაცილებით დაკლებულია, ვიდრე წინად იყო ხოლმე, არამედ იმიტომაც, რომ საქონლის ღირსება ეხლა უფრო საუკეთესო იქნება.

ბაზრის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მყიდველებს საშუალება ეძლევათ იყიდონ უკანასკნელ მოდის, ახალი საქონელი ამ ზამთრის სეზონისა, ყოველნაირ ღირსებისა, ქალისა თუ კაცის ტანისამოსისათვის, საბალო ტანისამოსისთვის, აბრეშუმისა და შალის მატერიები, მაუდი, დრაპები, საკოსტიუმე ტრიკოები, სუფრის თეთრეული და სხვა. ტილოეულობა და სამანუფაქტურო საქონელი.

ამ ბაზარზე ყველა იშოვის თავისთვის საშობაო საჩუქარს: დედაშვილისთვის, ცოლი—ქმრისთვის, სასიძო—სასძლოსთვის, და—ძმისათვის, ღიასახლისი—მოსამსახურისათვის და სხვა და სხვა.

პირველ საშობაო ბაზარს პ. ს. დოროჟნოვის მაღაზიაში დიდ იაფ ვაჭრობისას უზომო მნიშვნელობა აქვს როგორც მყიდველებისათვის, რომელნიც იაფად შეიძენენ სეზონის საქონელს, ისე ფირმისათვის, რომელმაც გამართა ს სურვილი და ტფილისისათვის საჭირო საშობაო ბაზარი.

**მოქალაქე.**

(1—ხალ.—1)


# განცხადებანი

## იყიდება

მცხეთის მახლობლად სოფელ წიწამურში ორი ნაჭერი სახნავი მიწა და

**ტყე 100 დესეტინა.**

იკითხეთ ვაგზლის მახლობლად ბატარეინი ქ., № 14, სახ. გურგენოვისა (2 554.—2)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ცთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—18)

13 დეკემბრიდან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

## ◀ ნ•ა•კ•ა•დ•უ•ლ•ი ▶

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი). ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახსოხპირელი, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. იასამანი, პ. ირეთელი, ა. ლალიონი. ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი. ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაყდენიძე, ტ რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, გ. ტუქსიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭვდა ივ. გომართელის კრიტიკულ წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.

ამათანავე, იანვრიდან თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთად გამოვა კრებული «ნ ა კ ი ვ ი», მოზრდილი წიგნი. წიგნს ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები კორესპონდენციები ერთ გვერდზე გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ეღირება ერთი წლით 5 მან., ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. ერთი თვით 50 კაპ. თითო ნომერი 10 კაპ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკემბრის ნომრებს უფასოდ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია «იმერეთში» ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის შკაფში ჟ. კოპალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის შკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში ვ. ხუროძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, სიღისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვა...

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: Тифлисъ, типографія „ПЕЧАТНОЕ ДѢЛО“ Вельяминовская N 6, Поліевкту Антоновичу Каландадзе. (3—2)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლის ყოველ თვიურ სალიტერატურო და საზოგადო პოლიტიკურ ჟურნალ

## „ნოვოე ობრაზოვანიე“-ზე

(НОВОЕ ОБРАЗОВАНІЕ)

ჟურნალი უპარტიო, კულტურულ-დემოკრატიული ორგანო იქნება და ფართოდ დააყენებს შემდეგ განყოფილებებს: 1. ლიტერატურულს, 2. პოლიტიკურს, 3. კრიტიკულს, 4. სამეცნიერო-პოპულიარულს და აგრეთვე შინაური და საგარეო პოლიტიკის, ლიტერატურის, პროვინციის ცხოვრებისა და სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობის განხილვას.

ჟურნალში იქნება განყოფილებანი: პედაგოგიური და საეკლესიო-საზოგადოებრივი (ბელეტრისტიკა, წერილები, მიმოხილვები)

ჟურნალი „ნოვოე ობრაზოვანიე“ დიდ ყოველ თვიურ ჟურნალების პროგრამით გამოვა და მიმართულება ისეთივე ექნება, როგორიც წინად ჟურნალ „ობრაზოვანიე“-სა ჰქონდა განსვენებულ ა. ი. ოსტროგორსკის რედაქტორობის დროს. მონაწილეობას მიიღებენ და ითანამშრომლებენ ცნობილი ლიტერატორები და მეცნიერები.

**ხელის მოწერის პირობები:**

| | 1 წლით: | ½ წლით: | 3 თვით: | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| გაგზავ. რუსეთში | 7 მან. | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 75 კ. | 60 კაპ. |
| საზღვარ-გარედ | 10 მ. | 5 მან. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

**ხელის მოწერა მიიღება:**

პეტერბურგში, ზაბალკონსკის პროსპ., სახ. N 30, ჟურნალ „ნოვოე ობრაზოვანიე“-ს კანტორაში; აგრეთვე რუსეთის ყველა დიდ წიგნის მაღაზიაში, რომლებიც ხელის მომწერის ფულიდან 5% თავისთვის იტოვებენ. (8—უ.—2)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**დაიბეჭდა და ისყიდება ახალი**

— წ ი გ ნ ი: —

## „ნატო გაბუნია“

30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად

**გამოცემა ქარ. დრ. საზ—ბა**

**ფ ა ს ი 30 კ.**

ვინც ათზე მეტს იყიდის, მანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драмат. об—ва. (10—9)

## I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ I მანეთიდან

## ● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაყ.—12)

## სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო ეგურული“ ქუთაისში

## ● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—10)

## ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო.

**სასწორთა და საზომთა ტფ. შემმოწმებელი დაწესებულება № 24.**

(მიხაილ ავის პროსპექტი, სახლი № 117).

აუწყებს სავაჭრო დაწესებულებებს, აფთიაქებსა, ქარხნებსა, საქონლის საწყობებსა, კანტორებსა, ბანკებსა და სხვებს, რომ სავაჭრო წესდების მე-748 მუხლის ძალით, საზომებსა და სასწორებს საზომებისა და სასწორების შემმოწმებელ დაწესებულების ბეჭდები უნდა ჰქონდეს. ამიტომ ვთხოვთ სავაჭრო დაწესებულებებს, გასინჯონ სასწორები და საზომები (არშინები, გირები, ლუდისა და არყის ბოცკები და სხვ.), აქვთ თუ არა საზომებს და სასწორებს ესეთი ბეჭდები. იმ შემთხვევაში, თუ სასწორს და საზომს ბეჭედი არ აღმოაჩნდა, სავაჭრო დაწესებულებების პატრონები მოვალენი არიან უბეჭდო საზომები და სასწორები შესამოწმებლად მოიტანონ ტფ. საზომთა და სასწორთა შემმოწმებელ დაწესებულებაში N 24, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართალში იქნებიან მიცემული.

სასწორთა და საზომთა ტფ. შემმოწმებელ დაწესებულების გამგე **ა. რეზიაკოვი.**

(2—6.—1)

## ● საშობაო ბაზარი ხელ-ახლა გაიხსნა ●

ახალი და განმანათლებელი სათამაშოები და გასართობები იყიდება იაფად, მოსკოვის ფასებში. სასწავლებლებსა და დაწესებულებებს ღირებულ ფასზე 15% დააკლდებათ. პროვინციაში გაიგზავნება ფასდადებით. დამზადებულია მოსართავი შობის ხისათვის ერთი მანეთიდან.

ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, N 23. მაღაზია „ბიჟუთერი იმიტასიონ“. (3—გაყ.—2)

სამანუფაქტურო მაღაზია

## ა. ი. ამირალოვისა

სოლოლაკის ქუჩიდან გადმოსვლის შემდეგ თამამშევების ქარვასლაში (№№ 19, 22 და 23), შევამოკლე რა ყველა ხარჯი ერთი სამათ ვაჭრობის შეჩერების გამო,

## ◀ ძალიან იაფად ▶

ვყიდი მთელ საქონელს, როგორც: ყოველნაირს აბრეშუმეული, მატყლეული, მაუდის, ტილოსი, ბამბის და

◀ სამებელო მატერიები ▶

## ისარგებლეთ შემთხვევით

(5—552—5)

## პროვოდნიკის

1897 წ. 1888

1908 წ.

## ამხანაგობა

## რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

## ● მომავალ დღესასწაულებისთვის ●

**მიღებულ იქმნა შემდეგი ნივთები:**

**შობის ხეებისთვის ასბესტის თოვლი, რომელიც არ იწვის.**

**რეზინის სათამაშოები.**

**მხეცები, ტიკინები და ბურთები.**

## დიდ-მალი უჯრებიანი სუფრები

## იყიდება ცალობით და არშინობით.

**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში

## „ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ“

შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაყ.—11)

# პ. ს. დოროჟნოვის

## — მაღაზიაში —

# უდიდესი საშობაო ბაზარი

## —:|:— იაფი ვაჭრობა —:|:—

**7-დან 23 დეკემბრამდე 15 დღის განმავლობაში, ესე იგი: 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15, 17, 18, 19, 21, 22 და 23 დეკემბერს.**

საშობაო ბაზრის იაფობისთვის მიღებულია დიდ ძალი სასეზონო საქონელი ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში. გაიყიდება საოცრად იაფად. ვურჩევთ მუშტარს, იყიდოს სხვა და სხვა სასარგებლო ნივთები საშობაო და საახალწლო საჩუქრებისთვის.

ფანჯრებში გამოკიდებულია ყველა ცხრა განყოფილებიდან საქონელი მეტად იაფი ფასისა აღნიშვნით. **საშობაო ბაზრის დღეებში ვაჭრობა მოხდება დილის 9½-დან ნაშუადღევის 2½ საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე.**

**პ. დოროჟნოვი.**


სტ ამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.